

ენათმეცნიერება Linguistic

მიმართვის ფორმათა კლასიფიკაცია მეგრულსა და ლაზურში¹

რუსუდან გერსამია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

e-mail: rgersamia@iliauni.edu.ge

ORCID: 0000-0001-7490-0851

თამარ გოგია

პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტი (ესპანეთი)

e-mail: tamar.gogia@upf.edu

ORCID: 0009-0007-1911-9617

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.04>

SJIF 2025: 8.584

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ჩვენი კვლევის პირველადი შედეგები, რაც გულისხმობს მიმართვის ფორმათა აღწერასა და კლასიფიცირებას, შეთანადებას ფრიდერიკე ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოსთან, მაგრამ ამავე დროს ნაჩვენებია, თუ რა სახის მოდიფიცირება მოითხოვს აღნიშნულმა მოდელმა მეგრული და ლაზური ენების მასალის დამუშავებისას. კვლევა ემყარება ველზე მოპოვებულ ემპირიულ მასალას.

მეგრულსა და ლაზურში მიმართვა გამოხატულია სახელებით, ნაცვალსახელებითა და ზმნებით, ან მათი შემცველი ფრაზებით, რაც ეთანადება ფრიდერიკე ბრაუნის იმ ზოგად საკლასიფიკაციო ჩარჩოს, რომელსაც საფუძვლად უდევს მეტყველების ნაწილების მიხედვით დაყოფა. უფრო მსხვილი საკლასიფიკაციო ნიშანი კი არის სინტაქსურ კონსტრუქციაში მიმართვის ფორმათა დამოკიდებულება / დამოუკიდებლობა, რის მიხედვითაც განირჩევა მიმართვის ბმული და თავისუფალი ფორმები, რომელთა ანალიზიც ასევე ღირებული ჩანს საანალიზო ენებისათვის.

მეგრულისა და ლაზურის მიმართვის ფორმათა სპეციფიკურობა ეხება არა იმდენად კლასიფიკაციას, არამედ შიდასაკლასიფიკაციო თავისებურებებს, კერძოდ, როგორცაა მისამართი პირის სახელის შეცვლა, მიმართვის ინვერსია, ნაცვალსახელური და ზმნური ფორმებით თავაზიანობის გამოხატვის სპეციფიკა და ა.შ. რომლებიც სხვადასხვა სოციოლინგვისტური და სოციოკულტურული სტრატეგიებით ჩანს განპირობებულნი.

¹ ნაშრომი ქვეყნდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-23-5495, "მიმართვის სისტემები მეგრულსა და ლაზურში"].

ჩვენი კვლევის მიხედვით, მეგრულისა და ლაზურის მიმართვის სისტემის აღწერისა და სისტემატიზაციისთვის შეიძლება საკმარისია ფრ. ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩო, თუმცა ამ ჩარჩოს მიღმა გასაანალიზებელია მიმართვის დროს გამოყენებული შორისდებულები და საკომუნიკაციო ველის ნაწილაკები: სხვათა სიტყვისა თუ ჩაკითხვის ნაწილაკები, რომლებიც დეიქტურია და მისამართად ყოველთვის გულისხმობს მეორე პირს.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, მიმართვის ფორმები, ბრაუნის კლასიფიკაცია.

შესავალი / რა არის მიმართვა?

მიმართვა არის მოუბარი პირის ენობრივი მიმართვის საშუალება თანამოუბართან. მიმართვის სისტემა კი გულისხმობს ერთი ენის ფარგლებში მიმართვის გამომსახველ საშუალებათა ერთობლიობას და მათი ურთიერთ- მიმართების წესების ფუნქციონირებას. მიმართვის ტერმინები არის მიმართვისათვის გამოყენებული სიტყვები და ფრაზები; ისინი მიმართულია თანამოსაუბრისადმი და, შესაბამისად, მოიცავს დეიქტურ ელემენტს. ხშირად, ისინი აღნიშნავენ თანამოსაუბრეს, თუმცა არათუ აუცილებლად, რამდენადაც მათი ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება განსხვავდებოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს კიდევ ადრესატის მახასიათებლებს.

ამასთან ერთად მიმართვა წარმოადგენს სოციალურ და ეთნოკულტურულ მარკერს, რამდენადაც გაჯერებულია მოცემულ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული, ისტორიული და ეთნიკური ღირებულებებით. ენას განსაზღვრავს ყოფიერება, დროის ცვლასთან ერთად იცვლება ენობრივი გარემოც. ამდენად, საინტერესოა, თუ როგორ აისახება ეს ცვლილებები მიმართვის ფორმებზე, ვინაიდან ისინი პირდაპირ ასახავენ თაობათა შორის იერარქიებს, დამოკიდებულებებს სოციუმში.

მიმართვისათვის ენებში გამოიყენება მრავალფეროვანი ენობრივი ინვენტარი: სხვადასხვა მეტყველების ნაწილი და ნაირგვარი შედგენილობისა და სირთულის შესიტყვება განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციებითა თუ პოზიციებით.

კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

ანალიზი ემყარება ფრედერიკ ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოს და ეფუძნება ფართომასშტაბიან, კროსლინგვისტურ გამოკვლევას მიმართვის სისტემებისა და მიმართვის ქცევის შესახებ [ბრაუნი, 1988]. აღნიშნულ მონოგრაფიაში გაანალიზებულია ოცდაათი ენის, მათ შორის - ქართულისა და მეგრულის (კლ. შუბერტი 1984-ზე დაყრდნობით), მიმართვის ფორმები მრავალასპექტიანი და მოქნილი საკლასიფიკაციო პარამეტრების მიხედვით. ჩარჩო ემყარება ორ საკლასიფიკაციო კრიტერიუმს: **მეტყველების ნაწილების მიხედვით დაყოფას**, რაც მოიცავს ფორმათა კლასიფიცირებას ნაცვალსახელურ, ზმნურ და სახელურ ტერმინებად, და **სინტაქსური ნიშნის მიხედვით აღწერას**, რაც გულისხმობს მიმართვის ბმულ და თავისუფალი ფორმებს.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია წარმოგიდგინოთ ჩვენი კვლევის პირველადი შედეგები, რაც გულისხმობს მიმართვის ფორმათა აღწერასა და კლასიფიცირებას, შეთანადებას ფრიდერიკ ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოსთან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ენობრივი ინვენტარი მიმართვაში შესაძლოა ძალზე უჩვეულო სახით შეგვხვდეს და, ამასთან, გენეტიკურად და ტიპოლოგიურად ახლოს მდგომი ენებიც კი შესაძლოა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, წარმოგიდგინოთ რა სახის მოდიფიცირება მოითხოვს აღნიშნულმა მოდელმა მეგრული და ლაზური ენების მასალის დამუშავებისას. კვლევის ფარგლებში ინფორმანტები მონაცემთა მთავარი წყაროა, თუმცა შედეგები ასევე ემყარება მეორეული წყაროებს, როგორცაა გრამატიკები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები, ლექსიკონები და სხვა გამოქვეყნებული მასალა.

საველე კვლევის ფარგლებში მონაცემები მოვარგოვეთ ანკეტირებისა და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების გამოყენებით. გამოკითხვის საშუალებები

ემყარება ბრაუნისა და მისი კვლევითი ჯგუფის მეთოდოლოგას, მათი ანკეტის მოდიფიცირებულ ვერსიას, ტექნიკური ტერმინებისა და საანალიზო ერთეულებს, ქართული და მეგრული ენობრივი კონტექსტის გათვალისწინებით შემუშავებულ ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუს.

საკითხის კვლევის წინარე ისტორიისათვის

მიმართვის ფენომენს ქართულში ეძღვნება შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია “მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება” [2023]. მიმართვის ფენომენი სისტემური კვლევის საგანი არ ყოფილა მეგრულსა და ლაზურში, თუმცა ცალკეულ პუბლიკაციაში განხილულია მეგრულში მიმართვის ზოგიერთი ასპექტი – სტრუქტურულ-სემანტიკური [იხ. ხუფენია 1997; ჯანჯღავა 2009; ჯანჯღავა 2020] და სოციოლინგვისტური [კიკვიძე, ჭანტურია 2003]. ფრიდერიკე ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით მეგრული ენის სახელური მიმართვის ფორმები აღწერა ლ. ფაჩულიამ [ფაჩულია 2012] და აჩვენა, რომ ამ ენის მონაცემებიც მეტ-ნაკლები მოდიფიკაციით თავსდება ამ უნივერსალურ საკლასიფიკაციო ჩარჩოში.

მიმართვა მეგრულსა და ლაზურში

მეგრულსა და ლაზურში მიმართვის გამომხატველი ერთეულები რეპრეზენტირებულია სახელებით, ნაცვალსახელებითა და ზმნებით, ან მათი შემცველი ფრაზებით, რაც თანხვედრაშია ფრიდერიკე ბრაუნის *მეტყველების ნაწილების მიხედვით* კლასიფიკაციასთან. უფრო მსხვილი საკლასიფიკაციო ნიშანი კი არის სინტაქსურ კონსტრუქციაში მიმართვის ფორმათა დამოკიდებულება / დამოუკიდებლობა, რომლის მიხედვითაც განირჩევა *მიმართვის ბმული* და *თავისუფალი ფორმები*.

1. მიმართვის სახელური ფორმების სუბკატეგორიული კლასიფიკაცია ასეთია:

1.1. არსებითები და ზედსართავები:

- საკუთარი სახელები;
- ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები;
- ეტიკეტური მიმართვის ფორმები;
- წოდების აღმნიშვნელი ფორმები;
- აბსტრაქტული სახელები;
- ხელობის სახელები;
- ურთიერთობის გამომხატველი მიმართვები;
- კნინობით-საალერსო ფორმები;
- მიმართვა სხვა პირთან/პერსონასთან რეფერენცირებით.

მეგრულსა და ლაზურში საკუთარი სახელის (მათ შორის თიკუნების) სპეციფიკური ფორმოზივი მახასიათებელია წოდებითი ბრუნვის უქონლობა, რის გამოც ანთროპონიმები ვოკატივის ფუნქციას ფორმოზივად გამოხატავენ სახელობითის ფორმით, ანუ თანხმოდანფუძიანებს ბოლოში მოუდით -ი და არ არიან ფუძის სახით წარმოდგენილი, როგორც ეს ქართულშია. სოციოლინგვისტურად კი ადამიანის საკუთარი სახელების დამახება ასაკობრივი იერარქიების ან ნათესაური მიმართებების გათვალისწინებით მეგრულში შეიძლება შეიზღუდოს ან საერთოდაც, ტაბუდადებული იყოს, თანაც ისე, რომ ზოგ შემთხვევაში ტაბუირებულ დენოტატთან კავშირი არც ჩანდეს. სწორედ ამის გარკვეული გამოვლინება არის მეგრულში მისამართის სახელის დამალვა, ე.წ. **სახელიშ ფულუა** “სახელის დამალვა” / **სახელიშ გინოთირა** “გადარქმევა, სახელის შეცვლა”, რაც ლიტერატურაში შეფასებულია პირდაპირი მიმართვის დროს **თავის არიდების სტრატეგიად** [ბრაუნი 1988: 55]. სერგი მაკალათიას შენიშვნით, მეუღლის სახელის ტაბუირება საერთო-ქართველური, ზოგჯერ - საერთო-კავკასიური მოვლენაა [მაკალათია 1935: 193], თუმცა ამ ტიპის სოციოკულტურული ქცევის

ამსახველი ლინგვისტური მასალა ლაზურში არ ჩანს; შესაძლოა, ლაზური ენის მატარებელთა მესხიერებას ეს ინფორმაცია არ შემორჩა.

სახელურ მიმართვაში განსაკუთრებული ფენომენია *მიმართვის ინვერსიულობა*, რაც ნათესაური ტერმინებისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა. მოუბარი მიმართვისათვის მიუთითებს არა ადრესატის, არამედ თავისსავე როლს. მიმართვის ინვერსია შეიძლება გამოვლინდეს **ფიქციური ნათესაობის** შემთხვევაშიც, რაც შეიძლება ემსახუროდეს იერარქიული მიმართების და მისამართი პირისადმი დამოკიდებულების ხაზგასმას. მიმართვის ინვერსიულობა ახასიათებს მეგრულსაც და ლაზურსაც.

2. მიმართვის ნაცვალსახელური ფორმები. იგულისხმება ნაცვალსახელები, რომლებიც თანამოსაუბრეს მიემართება და მას მოიხსენიებს. მეგრულისა და ლაზურისათვის ასეთი ფორმები მხოლოდ მეორე პირის ნაცვალსახელებია¹. მიმართვის ნაცვალსახელურ ფორმებს ორგვარი გამოხატულება აქვთ: *გრამატიკული*, რომელიც ქმნის დიქტომიას მხოლობითი და მრავლობითი, და *სოციოლინგვისტური*: თავაზიანი T (tu) და არათავაზიანი / ფამილარული V (vos) [აღნიშვნა ბრაუნისა და გილმანის შემოღებულია (1960)]. აღნიშნული აბრევიატურები მომდინარეობს ლათინური tu და vos ნაცვალსახელებიდან და განსაკუთრებით ხელსაყრელია ისეთი ენების კვლევისას, რომლებიც ამგვარ ნაცვალსახელურ ფორმებს განარჩევს [ფრ. ბრაუნი, 1988: 8]. მართალია, ქართველური ენები ასეთ ნაცვალსახელებს განარჩევს, თუმცა ჩვენ მიერ სამეგრელოსა და ლაზეთში მოძიებული ემპირიული მასალა ცხადყოფს, რომ ხანდაზმული რესპონდენტები თავაზიანი მიმართვისას არ იყენებდნენ **თქვა / თქვა(ნ)** “თქვენ” ნაცვალსახელს, ისინი არ ცვლიდნენ მხოლობითის ფორმას **სი** “შენ” იმ პირის მიმართაც კი, რომლის სახელის დამახებებს თავს არიდებდნენ პატივისცემისა და თავაზიანობის ნიშნად. მეორე მხრივ, ადრესატის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული თავაზიანი ზმნური ფორმა (ლექსიკური მრავლობითი) და ის უკავშირდებოდა მხოლობით რიცხვში მდგარ ნაცვალსახელს: *სი მოზოჯი* “შენ მოზრძანდი”, *სი დოზოჯი* “შენ დაბრძანდი”. მიმართვის ამგვარი მოდელი [სი (T/V) ზოჯ-(T)] უკვე შეცვლილია ახალ თაობაში, რაც შესაბამისობაში მოდის თანამედროვე ქართულის მიმართვის სოციოლინგვისტურ წესებთან - ქართულისათვის შენობითი ნაცვალსახელი და ზმნის თავაზიანი ფორმა შეუსაბამოა - არათანაპოვნო (კიკვიძე, 2015: 34-36). შესაბამისად, ეს შეიძლება შეიქნას თავაზიანი, არამედ პირიქით - ირონიული და შეურაცხმყოფელი თქმა.

მეგრულსა და ლაზურში ნაცვალსახელური მიმართვის სამი სტრატეგიის გამოყოფა ჩანს შესაძლებელი: ა) **სი** “შენ” - ყველა თაობის მიმართვისთვის, მაგრამ თავაზიანობის გამოსახატავად ზმნასთან შეკავშირებისას ენა ირჩევს ლექსიკური მრავლობითით გამოხატულ თავაზიან ფორმებს; ბ) **სი** “შენ” ნაცვალსახელის დასახელებისგან თავის არიდება უფროსი თაობისადმი მიმართვისას, რაც შედარებით ახალი მოვლენა ჩანს საანალიზო ენებში; გ) თქვა “თქვენ”, როგორც თავაზის ნაცვალსახელი, შეკავშირებული ზმნის მრავლობით ან თავაზიან ფორმასთან.

3. მიმართვის ზმნური ფორმები. იგულისხმება მეორე პირის მისამართად გამოყენებული ზმნური ფორმები შესაბამისი გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ფლექსიური აფიქსებით. როგორც ფრ. ბრაუნი აღნიშნავს, ხშირად, მიმართვის გამოხატვისას ზმნას თან ახლავს მიმართვის ნაცვალსახელები. მაგრამ ისეთ ენებში, რომლებშიც პირის ნაცვალსახელების გამოყენება არასავალდებულოა, თანამოსაუბრეზე მითითების ერთადერთი გამომხატველი

¹ სხვა გრამატიკული პირებიც შეიძლება ასრულებდნენ მიმართვის ნაცვალსახელთა ფუნქციას, თუ ისინი მიემართება ან მოიხსენიებს კომუნიკაციის თანამონაწილეს, მაგალითად, იტალიური Lei (მესამე პირი, მხოლობითი, მდებდრობითი) (ბრაუნი, 1988: 7).

შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ზმნა [ბრაუნი 1988: 8]. სწორედ ამგვარი ენებია მეგრული და ლაზური (ზოგადად, ქართველური ენები): პირის შეწყობა არასავალდებულოა ზმნაში მისი მარკირებულობის გამო.

ჩვენი კვლევის მიხედვით, მეგრულისა და ლაზურის მიმართვის სისტემის აღწერისა და სისტემატიზაციისთვის შეიძლება საკმარისია ფრ. ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩო, თუმცა ამ ჩარჩოს მიღმა გასაანალიზებელია მიმართვის დროს გამოყენებული **შორისდებულები** და **საკომუნიკაციო ველის ნაწილაკები**: სხვათა სიტყვისა თუ ჩაკითხვის ნაწილაკები, რომლებიც დეიქტურია და მისამართად ყოველთვის გულისხმობს მეორე პირს.

სინტაქსურად ბმული ფორმა წინადადების ინტეგრირებული წევრია, ხოლო თავისუფალია წინადადების კონსტრუქციის “გარეთ” არსებული ფორმები, რომლებიც წინადადებას უსწრებს, მოჰყვება ან ჩართულია მასში. ცხადია, ამ ორ - მეტყველების ნაწილებსა და სინტაქსურ შეკავშირებაზე დაფუძნებულ - კლასიფიკაციას შორის გარკვეული კორელაცია არსებობს, კერძოდ, მიმართვის სახელური ფორმები განიხილება სინტაქსურად თავისუფალ, ხოლო ზმნური და ნაცვალსახელური - სინტაქსურად ბმულ ფორმებად [ფრ. ბრაუნი: 12]. ზოგადად, მიმართვის ნაცვალსახელები ბმული ფორმებია, მიმართვის სახელური ტერმინები კი თავისუფალი; თუმცა პირიქითაც შეიძლება მოხდეს:

სახელური თავისუფალი (1) და ბმული ფორმები (2):

თავისუფალი			
	მეგრული	ლაზური	ქართული
(1)	ა) - ბები, მუჭო რექ?	- ნანდიდი, მუჭომიე?	- ბებია, როგორ ხარ?
	ბ) - ჩქიმ ჭიჭე ცირა, მუჭო რექ?	- ჩქიმი ჭუტა ცირა, მუჭომიე?	- პატარა გოგო, როგორ ხარ?
(2)	ბმული		
	ა) - ბებ მუჭო რე?	- ნანდიდი მუჭომიენ?	- ბებია როგორ არის?
	ბ) - ჩქიმ ჭიჭე ცირა მუჭო რე?	- ჩქიმი პატარა მუჭონ?	- პატარა გოგო როგორ არის?

ბრაუნი სახელურ ბმულ ფორმებსა და არაპირდაპირ მიმართვას ერთმანეთთან აკავშირებს. მათმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ბევრ ენაში არაპირდაპირ მიმართვას გარკვეული სტატუსი აქვს. მაგალითად, გერმანულსა და პორტუგალიურში ზემდგომობისა და დისტანციის გამომხატველი ფორმულირებაა [ბრაუნი, 1988: 12]. მეგრულსა და ლაზურში კი გამოიყენება უფროსი და უმცროსი თაობის მისამართით - ხანდაზმულებს თავაზის ნიშნად მიმართავენ, ხოლო ბავშვებს - ალერსობით.

დასკვნა

მიმართვისათვის გამოყენებული ენობრივი საშუალებები მეგრულსა და ლაზურში მრავალსპექტიან კლასიფიკაციებს ქმნიან და თავსდებიან ფრიდერიკე ბრაუნის საკლასიფიკაციო ჩარჩოში, თუმცა ჩარჩოს გარეთ რჩება საკითხები, რომლებიც საანალიზო ენებში მიმართვის სისტემის ნაწილია და, ამდენად, სპეციალური კვლევის საგანი. ეს, ერთი მხრივ, ეხება მეტყველების ნაწილთა საკითხს, ნაწილაკებისა და შორისდებულების ადგილს და როლს მიმართვის სისტემაში, ასევე მიმართვის გამომხატველ ფორმათა სინტაქსურად ფუნქციონირებას.

ბიბლიოგრაფია

1. აფრიდონიძე, შ., – *მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 2023.
2. კიკვიძე, ზ., – *სოციოლინგვისტიკური ნარკვევები*. თბილისი: თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 2015.
3. მაკალათია, ს., – ხევსურეთი. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. ტფილისი. 1935
4. ფაჩულია, ლ., – *მიმართვის სახელურ ფორმათა ჯგუფები მეგრულში ფ. ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით*. თბილისი: კავკასიოლოგიური ძიებანი. 2012. გვ., 109-112.
5. ხუფენია, თ., – *განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები მეგრულში*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. 1997.
6. ჯანჯღავა, ც., – *მიმართვის ფორმისათვის მეგრულში*. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XI, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 2020. გვ. 63.
7. ჯანჯღავა, ც., – *სახელური მიმართვა მეგრულ-ლაზურში*. თბილისი: კავკასიოლოგიური ძიებანი 2009. გვ., 250-252.
8. Braun, F., – *Terms of address: Problems of patterns and usage in various languages and cultures*. Berlin: De Gruyter. 1988.
9. Kikvidze, Z., & Tchantouria, R. (2003). Joint parameterization of honorifics and terms of address in Kartvelian languages. In D. De Jongh, H. Zeevat, & M. Nilssenová (Eds.), *Proceedings of the 3rd and 4th International Symposium on Language, Logic and Computation* (pp. 53-57). Amsterdam: ILLC Scientific Publications.
10. Schubert, K. , – *Mingrelisches Anredeverhalten. Linguistica, Commentationes Analyticae et Criticae*. Tübingen: Gunter Narr Verlag. 1984. (pp. 115–151)

Rusudan Gersamia

Ilia State University

Tbilisi, Georgia

e-mail: rgersamia@iliauni.edu.ge

ORCID: 0000-0001-7490-0851

Tamar Gogia

Pompeu Fabra University (Spain)

e-mail: tamar.gogia@upf.edu

ORCID: 0009-0007-1911-9617

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.04>

SJIF 2025: 8.584

Classification of Address Forms in Megrelian and Laz

Abstract

This publication presents the primary results of our research, which involve the description, classification, and alignment of address forms with Friederike Braun's classification framework. At the same time, it demonstrates the types of modifications that this model

required when applied to the Megrelian and Laz data. The research is based on empirically collected field data.

In Megrelian and Laz, address is expressed through nouns, pronouns, and verbs, or phrases containing them, which corresponds to Friederike Braun's general classification framework based on parts of speech. A broader classification criterion, however, is the (in)dependence of address forms within syntactic constructions, according to which bound and free forms of address are distinguished—an analysis that also proves valuable for the languages under study.

The specificity of address forms in Megrelian and Laz relates not so much to the classification itself, but rather to interclassificatory peculiarities — such as the alteration of the addressee's name, address inversion, and the particular ways politeness is expressed through pronominal and verbal forms. These appear to be shaped by various sociolinguistic and sociocultural strategies.

However, beyond this framework, it will be necessary to analyze the interjections and communicative field particles used in address—such as reported speech particles and question particles—which are deictic and always imply the second person as the addressee.

Key words: *Kartvelian Languages, Terms of address, Classification of Friederike Braun.*

რეცენზენტი: პროფესორი ანა დიომიდოვა